

მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები და მისი ოდენობის  
განსაზღვრის კრიტერიუმები

ქეთევან ქინქლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქათამაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017 წელი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ქეთევან ქინქლაძე

03.07.2017 წელი

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებსა და მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებს, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პრობლემატურ საკითხს. საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების განვითარებამ არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების კვლევას მეტი აქტუალობა შესძინა.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ კვლევაში პირადი არაქონებრივი უფლებების ფართო სპექტრიდან ცალკეული პიროვნული უფლებების დაცვის საშუალებებიდან ყურადღება გამახვილებული იქნება არაქონებრივი, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზანშეწონილობის საკითხზე და მისი ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებზე.

საყოველთაოდ დეკლარირებული პირადი უფლებების ხელყოფა, რომელიც აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება და ინდივიდის პატივისცემისა და მისი ინდივიდუალობის გამომხატველია არის მორალური ზიანის დაკისრებისა და ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

წარმოჩენილია მორალური ზიანის არსი და მისი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი, განხილულია მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და ფარგლები, ზიანის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მასთან დაკავშირებული სირთულეები. კანონმდებლობაში არსებობს მრავალი პრობლემური ნიუანსი, რომელიც ერთის მხრივ, გამოწვეულია მწირე და ბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზის არსებობით და მეორეს მხრივ, სამართალწარმოების ეტაპზე არაქონებრივი ზიანის ობიექტურ კატეგორიაში მოთავსების სირთულით, რაც აფერხებს არაქონებრივი ზიანის ფულადი ფორმით გამოხატვას არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობის პირობებში.

კვლევა ეფუძნება დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, უცხოური სამართლებრივი სისტემების მიერ გათვალისწინებული კონცეპტუალური მიდგომების წარმოჩენას მორალური ზიანის ანაზღაურების ფარგლების და დადგენის

კრიტერიუმების კუთხით, პასუხისმგებლობის სუბიექტების განსაზღვრის, ინტერესთა კონფლიქტის და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მეთოდოლოგიური და პროცესუალური საფუძვლების კვლევას.

ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები თემაში განხილულ უმთავრეს საკითხებთან მიმართებით.

სამაგისტრი ნაშრომი შედგება 6 თავისგან.

I თავი ეძღვნება მორალური ზიანის ანაზღაურების განვითარების ისტორიას როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების მაგალითზე.

II თავი ეთმობა მორალური ზიანის შინაარსის დადგენას როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე უცხოური დოქტრინის მიხედვით. აღნიშნული თავი, ასევე ეთმობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სიკეთეებს, კერძოდ, მიმოხილულია პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია.

III თავი ეთმობა მორალური ზიანის ანაზღაურების წარმოშობის წინაპირობებს.

IV თავი ეძღვნება მორალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციებს, კერძოდ, მიმოხილულია პრევენციის, კომპენსაციისა და სატისფაქციის ფუნქციები.

V თავი ეძღვნება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებს მორალური ზიანის მიყენებისთვის. განხილულია იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ მოითხოვონ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

VI თავი ეძღვნება მორალური ზიანის ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმებს

## Abstract

Below thesis is dedicated to the preconditions of the moral damage compensation and the criteria determining the amount of reimbursement allocated, which is one of the most important and problematic issue of the civil justice. Evolution of communications technology and social media had positive impact on the research of the legal mechanisms of defense of non-property rights.

From the broader specter of private non-property rights and the means of defense of certain individuals this research will mainly emphasize on the issue of appropriateness of compensation of moral damage and the main criteria for defining the amount of compensation.

Encroachment of publicly declared personal rights, which accordingly fits into category of absolute rights and therefore expresses the respect of individuals and its uniqueness is the legal foundation of imposing responsibility on moral damage and request for reimbursement.

This study exhibits essence of moral damage and peculiarities of its legal regulation, it discusses the fundamentals and limitations of the compensation of moral damage, criteria and furthermore complications of defining the amount of compensation. There are many problematic issues in the legislation, which on one side is caused by the lack of legislative basis and on the other side the complications aroused on the level of judicial processes to set the case in unbiased category, Thus It hinders the expression of moral damage in monetary forms in consequence to nonhomogeneous conditions of court practice.

The research is based on the analyses of doctrines and court practices, as well as demonstrating conceptual approach of foreign court system in relation to defining moral damage aspects and the limitations of compensation policies. Study defines the responsible side, conflict of interests and demonstrates the methodological research of non-property damage compensation.

The last part of the research comprises the recommendations to the main issues discussed in the thesis.

Master thesis is comprised of 6 chapters:

- I- Chapter is dedicated to the history of development of the moral damage compensation based on Georgian and foreign countries' examples.
- II- Chapter discusses the definition of moral damage according to the Georgian legislation and foreign doctrines, discussion continues around Georgian Civil Code article N18; More Specifically : respect, dignity, secrets of private life, personal immunity and business reputation.
- III- Chapter is dedicated to the preconditions of origin of moral damage compensation
- IV- Chapter comprises the functions of moral damage compensation. Specifically: prevention, compensation and satisfaction functions.
- V- Chapter is dedicated to the civil and legal responsibility of the person charged for moral damage. Discussion will furthermore continue around the circle of individuals who may request the compensation for moral damage.
- VI- Chapter discusses the criteria for defining moral damage compensation.